ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში ფასდება და აღირიცხება სამუშაო ვალუტაში გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.2766	4.0233
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

მფლობელთა კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და სხვა აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ რეალურ ღირებულებას.

დივიდენდები

დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

შპს „ნობლექსი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შესვლამდე	ავეჯი და ინვენტარი	მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	სასოფლო- სამეურნეო ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება										
2018 წლის 31 დეკემბერი	2,558,155	4,017,149	1,643,014	1,066,815	520,867	284,230	1,561,874	1,003,096	147,001	12,802,201
შეძენა	1,937,969	483,785	13,542	378,687	84,787	100,999	583,519	727,516	138,412	4,449,217
შიდა მოძრაობა მარაგებიდან	-	1,135,024	566,833	-	-	-	-	7,472	-	1,709,329
ჩამოწერა	-	-	-	(16,663)	-	-	(104,806)	(17,373)	(12,563)	(151,405)
2019 წლის 31 დეკემბერი	4,496,124	5,635,958	2,223,389	1,428,840	605,654	385,229	2,040,588	1,720,711	272,850	18,809,343
შეძენა	6,571,365	100,246	1,832,389	145,043	(467,456)	136,602	318,592	710,461	302,823	9,650,065
შიდა მოძრაობა მარაგებიდან	-	1,350,732	-	-	680,730	13,542	-	-	-	2,045,004
ჩამოწერა	-	(1,745)	-	(4,815)	(457)	(165)	(28,983)	(429)	-	(36,595)
2020 წლის 31 დეკემბერი	11,067,489	7,085,191	4,055,778	1,569,068	818,471	535,209	2,330,196	2,430,743	575,673	30,467,817
ცვეთა და გაუფასურება										
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(401,521)	-	(249,244)	(276,079)	(100,249)	(406,170)	(426,638)	(15,026)	(1,874,928)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(140,459)	-	(150,341)	(66,000)	(61,570)	(161,799)	(140,465)	(41,286)	(761,919)
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	-	-	-	2,208	-	-	93,273	13,077	-	108,558
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(541,981)	-	(397,377)	(342,079)	(161,819)	(474,696)	(554,026)	(56,313)	(2,528,289)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(213,808)	-	(172,626)	(140,060)	(82,298)	(224,231)	(260,537)	(90,365)	(1,183,925)
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	-	1,719	-	1,292	239	25	11,595	84	-	14,954
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(754,069)	-	(568,711)	(481,900)	(244,091)	(687,333)	(814,478)	(146,678)	(3,697,260)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,558,155	3,615,628	1,643,014	817,571	244,788	183,982	1,155,704	576,457	131,975	10,927,273
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,496,124	5,093,978	2,223,389	1,031,463	263,575	223,411	1,565,892	1,166,685	216,537	16,281,054
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,067,489	6,331,122	4,055,778	1,000,356	336,571	291,117	1,642,864	1,616,265	428,995	26,770,557

**შპს „ნობლექსი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ მიღებული სესხები უზრუნველყოფილი იყო ძირითადი საშუალებებით (მიწები და შენობები) ჯამური წმინდა საბალანსო ღირებულებით 14,252,151 ლარი (2019: 7,956,959 ლარი).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენდა 191,354 ლარს (2019: 187,616)

4. არამატერიალური აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების (ლიცენზიები, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა არამატერიალური აქტივების) ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 192,156 ლარს (2019: 167,550 ლარს). 2020 წლის განმავლობაში შეძენილმა არამატერიალურმა აქტივებმა შეადგინა 89,522 ლარი (2019: 6,944 ლარი), ხოლო წლის განმავლობაში არამატერიალურ აქტივებზე დარიცხულმა ამორტიზაციის ხარჯმა შეადგინა 58,988 ლარი (2019: 52,952 ლარი)

5. ბიოლოგიური აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიოლოგიური აქტივების (მზარდი ნამყენი და მსხმოიარე ნამყენი) ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 84,447 ლარს (2019: 91,770 ლარი). 2020 წლის განმავლობაში ბიოლოგიურ აქტივებზე დარიცხულმა ცვეთის ხარჯმა შეადგინა 7,323 ლარი (2019: 7,303 ლარი).

6. საგადასახადო აქტივი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი		
ბიუჯეტში ზედმეტობით გადახდილი თანხები	431,984	729,443
ძირითადი საშუალებების შესყიდვის საფუძველზე წარმოშობილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლის უფლება .	73,273	-
გრძელვადიანი		
ძირითადი საშუალებების შესყიდვის საფუძველზე წარმოშობილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლის უფლება .	507,200	-

კომპანიის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 2,184 ლარი (2019: 48,050 ლარი).

2016 წლის 13 მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორატიული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

საგადასახადო აქტივი არის გადასახადების ერთიანი ანგარიში, რომელიც მოიცავს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით და საქართველოს საბაჟო კოდექსით დარიცხულ ვალდებულებებსა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე გადახდილ თანხებს.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება, რომელიც შემოსავლის განაწილების შედეგად წარმოიქმნება, არ მოხდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მასალები	18,626,789	14,604,356
მარაგები გზაში	350,061	569,882
ნედლეული და მასალები	326,471	373,416
სხვა მარაგები	41,334	28,688
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	19,344,655	15,576,342

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მარაგები გზაში მოიცავს კომპანიის მიერ უცხოური მომწოდებლებისგან შესყიდულ მარაგებს. აღნიშნული მომწოდებლები კომპანიასთან თანამშრომლობენ ინკოთერმის EXW პირობით დარეგულირებული ხელშეკრულების საფუძველზე, რაც გულისხმობს მყიდველისთვის ყველა რისკისა და ხარჯის დაკისრებას საქონლის გამყიდველისგან დანიშნულების ადგილზე მიტანამდე.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	3,129,181	3,861,370
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებამდე	3,129,181	3,861,370
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(792,140)	(749,872)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	2,337,041	3,111,498

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენილად:

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
31 დეკემბერი 2018	(143,694)	(143,694)
შემცირება წლის განმავლობაში	-	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	(606,178)	(606,178)
31 დეკემბერი 2019	(749,872)	(749,872)
შემცირება წლის განმავლობაში	32,891	32,891
დარიცხვა წლის განმავლობაში	(75,159)	(75,159)
31 დეკემბერი 2020	(792,140)	(792,140)

9. გადახდილი ავანსები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გადახდილი ავანსებმა შეადგინა 1,418,889 ლარი (2019: 2,176,886 ლარი). გადახდილი ავანსები მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგებისთვის გადახდილ 914,006 ლარს (2019: 1,307,932), ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილ 373,542 ლარს (2019: 804,482 ლარი) და წინასწარ გაწეულ ხარჯებს 131,341 ლარს (2019: 64,472 ლარი).

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	18,364	4,133
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	5,159
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,941,941	557,324
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	58,592	127,263
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,018,897	693,879

2020 წლის განმავლობაში საბანკო ანგარიშებზე არსებულ უმოძრაო ნაშთზე დარიცხული სარგებელი შეადგენს 67,499 ლარი (2019: 113,393 ლარი).

11. კაპიტალი

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ალექსანდრე ედიბერიძე.

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენდა 2,000 ლარს (2019: 2,000). კომპანიის დამფუძნებლის მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა 2005 წლის 16 თებერვალს. კაპიტალში შეტანილ იქნა ძირითადი საშუალებები, რომელთა ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ კაპიტალში შეტანის თარიღში.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოცხადებულმა და განაწილებულმა დივიდენდმა შეადგინა 50,947 ლარი (2019: 1,120,842 ლარი).

12. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი სესხები	10,379,797	6,829,669
გრძელვადიანი სესხები	12,658,124	4,354,149
სულ	23,037,921	11,183,818

**შპს „ნობლექსი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში**

ქვემოთ მოცემული მიღებული სესხები ხელშეკრულებების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელშეკრულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	სულ
N 2017-12-14/0074/CLN/062464/021	12/15/2017	12/15/2021	5.8%	ხელშეკრულების ბოლოს	ყოველთვიური	ევრო	9,253,590	-	9,253,590
N 2017-12- 14/0075/BSN/062464/022	12/15/2017	9/12/2023	5.6%	გრაფიკის შესაბამისად	ყოველთვიური	ევრო	514,042	1,112,287	1,626,329
N 2018-04-13/0039/APMA3/062461/029	4/13/2018	10/13/2023	11.5%	გრაფიკის შესაბამისად	ყოველთვიური	ლარი	222,108	473,731	695,839
N 2019-12-03/0031/BSNE6/062464/032	12/10/2019	12/10/2029	5.6%	გრაფიკის შესაბამისად	ყოველთვიური	ევრო	219,694	6,994,158	7,213,852
ხელშეკრულება GCLCA000418433 - 6664540	8/24/2020	8/24/2030	ლიბორ +7.1%	გრაფიკის შესაბამისად	ყოველთვიური	დოლარი	96,479	4,077,949	4,174,428
სულ მიღებული სესხის ძირი							10,305,915	12,658,124	22,964,039
გადასახდელი პროცენტი							73,882	-	73,882
სულ მიღებული სესხები							10,379,797	12,658,124	23,037,921

ქვემოთ მოცემული მიღებული სესხები ხელშეკრულებების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელშეკრულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	სულ
N2017-12-14/0074/CLN/062464/021	12/15/2017	12/15/2020	5.8%	ხელშეკრულების ბოლოს	ყოველთვიური	ევრო	6,419,000	-	6,419,000
N2017-12- 14/0075/BSN/062464/022	12/15/2017	9/12/2023	5.6%	გრაფიკის შესაბამისად	ყოველთვიური	ევრო	120,729	1,561,388	1,682,117
N2018-04-13/0039/APMA3/062461/029	4/13/2018	10/13/2023	11.5%	გრაფიკის შესაბამისად	ყოველთვიური	ლარი	197,816	693,709	891,525
N2019-12-03/0031/BSNE6/062464/032	12/10/2019	12/10/2029	5.6%	გრაფიკის შესაბამისად	ყოველთვიური	ევრო	51,312	2,099,052	2,150,364
სულ მიღებული სესხის ძირი							6,788,857	4,354,149	11,143,006
გადასახდელი პროცენტი							40,812	-	40,812
სულ მიღებული სესხები							6,829,669	4,354,149	11,183,818

**შპს „ნობლექსი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში**

2020 წლის განმავლობაში მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 940,006 ლარს (2019: 424,805 ლარი)

2020 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯის შემცირება უკავშირდება სს „ბაზისბანკსა“ და ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ შორის გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებას (#2018-04-13/0039/APMA3/062464/029), რომლის თანახმადაც სს „ბაზისბანკმა“ შპს „ნობლექსს“ მისცა სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ახორციელებს ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის მიზნობრივ თანადაფინანსებას და კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.5%-ს. 2020 წლის განმავლობაში სუბსიდიის სახით მიღებულმა ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 88,866 ლარი (2019: 108,678 ლარი) რითაც მოხდა საპროცენტო ხარჯის შემცირება.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,615,529	396,249
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	-	52,683
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,615,529	448,932

14. მიღებული ავანსები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსები შეადგენდა 839,089 ლარს (2019: 607,698 ლარი). ავანსები მიღებულია სასაქონლო მატერიალური მარაგების შემდგომში მიწოდების პირობით.

15. შემოსავლები

	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	45,594,709	44,168,772
უსასყიდლოდ მიწოდება	43,393	17,851
სულ შემოსავლები	45,638,102	44,186,623

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს შემდეგი საქონლის რეალიზაციას:

	2020	2019
მცენარეთა დაცვა	17,496,395	16,339,612
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	11,489,594	9,448,205
სასუქი	6,439,418	6,863,008
სათესლე მასალა	4,076,287	2,742,585
სპეციალიზირებული აღჭურვილობა (ვენახის ინვენტარი)	1,749,351	4,881,963
სასათბურე ინვენტარი და სხვა მასალები	469,722	376,160
საირიგაციო სისტემები	388,462	289,777
სხვა	3,485,480	3,227,462
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	45,594,709	44,168,772

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
შესყიდული მარაგები	34,029,092	33,132,425
მარაგების კორექტირება	356,930	36,451
მომსახურების ხარჯი	49,556	54,208
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	34,435,578	33,223,084

შპს „ნობლექსი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	3,199,558	2,362,608
ცვეთა და ამორტიზაცია	1,248,952	821,150
საგადასახადო ხარჯი	673,266	422,247
წარმოების ხარჯები	505,904	233,241
საწვავის ხარჯი	224,343	238,570
კომუნალური ხარჯი	160,854	135,570
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული სერვისის დაზღვევა	145,716	102,368
ბანკის საკომისიო	124,492	67,714
ბანკის საკომისიო	123,486	113,036
ცვლილება საექვო მოთხოვნების ანარიცხში	75,159	606,178
დაცვა	61,159	52,626
იჯარის ხარჯი	38,053	48,131
საკომუნიკაციო	32,868	35,075
წარმომადგენლობითი	29,012	70,043
საკანცელარიო	11,482	8,990
მივლინება	11,426	66,868
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	889,078	829,930
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7,554,808	6,214,345

18. სხვა საოპერაციო შემოსავლები

	2020	2019
მომწოდებლისგან მიღებული ფასდათმობა	1,291,782	1,241,509
უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგები	271,713	95,872
სხვა შემოსავალი	102,968	30,876
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	1,666,463	1,368,257

19. არასაოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
აღებული მოსავალი	675,178	182,240
მიღებული კომპენსაცია	95,573	-
სადაზღვევო კომპანიის მიერ ზიანის ანაზღაურება	21,248	-
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება	13,085	65,009
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	22,261	8,318
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(73,298)	(69,574)
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	754,047	185,993

2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო სამეურნეო კულტურებიდან მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შეადგენს 675,178 ლარს (2019: 182,240 ლარი).

20. კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული წმინდა ზარალი

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მიღებული სესხები	სულ 2020
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	203,834	2,109,003	1,094,657	1,740,891	5,148,385
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	442,741	864,566	2,637,507	4,950,289	8,895,103
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული წმინდა ზარალი	(238,907)	1,244,437	(1,542,850)	(3,209,398)	(3,746,718)

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მიღებული სესხები	სულ 2019
ურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	99,898	931,862	509,115	526,002	2,066,877
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	207,758	438,026	1,325,055	724,460	2,695,299
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული წმინდა ზარალი	(107,860)	493,836	(815,940)	(198,458)	(628,422)

21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2020	2019
ხელფასები და ბონუსები	995,557	975,127

2020-სა და 2019 წლების განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და საბალანსო ნაშთები არ არის არსებითი.

22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ამ ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც შეიძლება ასახულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე
შპს ნობლექსის მენეჯმენტსა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2021 წლის 29 სექტემბერი

RSM Georgia
P. Chubiniძე

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს ნობლექსის მენეჯმენტსა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხილავთ რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2021 წლის 29 სექტემბერი

მმართველობის ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ნობლექსი - ს.ნ. 204471561 დაარსდა 2005 წლის თებერვალში.

პარტნიორი - ალექსანდრე ედიბერიძე (65001000147), 100%

დირექტორი - ალექსანდრე ედიბერიძე (65001000147)

სავაჭრო სახელი - „აგროსფერო“



ლოგო -

სლოგანი - აგროსფერო - თქვენი ბარაქიანი შემოდგომისთვის!

მისია

შპს „ნობლექსი“ 2005 წლიდან მოღვაწეობს აგრობიზნესში და დღესდღეობით წარმოადგენს ერთერთ უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანიას ამ მიმართულებით. თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში წარმოდგენილია მაღაზიათა ქსელით „აგროსფერო“.

ჩვენი მისიაა ხელი შევუწყოთ ქართველ ფერმერებს თავიანთ საქმიანობაში, გავუჩინოთ მოტივაცია, რათა სოფლის მეურნეობას მეტი ხალისით და ენთუზიაზმით ემსახურონ, საკუთარ მიწაზე მოიყვანონ ქართული მოსავალი, რომელიც მათი კეთილდღეობის საფუძველი და ფინანსური სიძლიერის გარანტი გახდება.

ჩვენი წარმატების საიდუმლო პროდუქციის ხარისხი, მომსახურების მაღალი სტანდარტი და ხელმისაწვდომობაა



პროდუქციის ხარისხი

მომხმარებელთა კომფორტისთვის „აგროსფერო“-ში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სრული სპექტრი გვაქვს წარმოდგენილი, რაც მათ საშუალებას აძლევს ყველაფერი ერთიან სივრცეში შეიძინონ, დაზოგონ დრო, ენერგია და მიიღონ მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რაც საბოლოო ჯამში საუკეთესო შედეგს განაპირობებს. ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს: მცენარეთა დაცვის საშუალებებს, მინერალურ სასუქებს, აგროტექნიკას, სათესლე მასალას, წვეთოვანი მორწყვის სისტემებს, საშუალო იარაღებსა და ფერმერისთვის საჭირო სხვა პროდუქციას, ასევე დანადგარებისა და დამხმარე მასალების ფართო სპექტრს ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისთვის.

საქართველოში წარმოვადგენთ მსოფლიოს ლიდერ 20-ზე მეტ კომპანიას სხვადასხვა მიმართულებით: მცენარეთა დაცვის საშუალებები - Bayer AG, მინერალური სასუქები - Yara, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა - Claas, სათესლე მასალა - Rijk Zwaan, Nunhems, წვეთოვანი მორწყვის სისტემები - Irritec, ფილტრაციის სისტემები - Pall, მუხის კასრები და დამხმარე მასალები - Seguin Moreau და სხვა.

მომსახურების მაღალი სტანდარტი

„აგროსფერო“-ს მაღაზიათა ქსელში შეძენილ პროდუქციას, თან ერთვის მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რომელიც მიმართულია საუკეთესო შედეგისკენ.

ჩვენი მიზანი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურებით მიღებული საუკეთესო შედეგია, რადგან მნიშვნელოვანია, ურთიერთობა მომხმარებელთან ერთჯერადი მომსახურებით არ შემოიფარგლოს, არამედ გრძელვადიანი, საერთო შედეგზე ორიენტირებული პარტნიორობის სახე მიეცეს.

იმისათვის რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ, მხარში ვუდგავართ ფერმერებს, ვახორციელებთ მათი მეურნეობების მონიტორინგს, ყოველთვის ადგილზე ვეცნობით არსებულ მდგომარეობას, ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას და ვეხმარებით მოსავლის დაგეგმვაში.


ფერმერის უხვი მოსავალი „აგროსფერო“-ს წარმატებაა!

ხელმისაწვდომობა

კომპანიის ცენტრალური ოფისი და საწყობი მდებარეობს თბილისში. პროდუქცია წარმოდგენილია „აგროსფერო“-ს სერვისცენტრებში და ოფიციალურ პარტნიორებთან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

„აგროსფერო“ დაარსების დღიდან მუდმივად ვითარდება და განაგრძობს წინსვლას, დღეს შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ „აგროსფერო“ მომხმარებლებისთვის ასოცირდება პროფესიონალიზმთან და მაღალი ხარისხის პროდუქციასთან.

ნობლექსი - აგროსფერო



კომპანიის განვითარების გეგმები

1. ასორტიმენტის განვითარება:
 - ✓ ახალი პროდუქტების შერჩევა
 - ✓ ახალი პროდუქტების დანერგვა
 - ✓ სწორი ფასდადება
2. ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა
 - ✓ ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება
 - ✓ მიმდინარე მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა
 - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება
3. გაყიდვების სტიმულირება
 - ✓ ბრენდის განვითარება
 - ✓ სავაჭრო ქსელის განვითარება
 - ✓ მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება (როგორც კორპორატიული, ასევე საცალო გაყიდვების კუთხით)

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ განუხორციელებია.

2020

წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ღონისძიებები:



აგროსფერომ ამჯერადაც მოიპოვა „შვეიცარიის რეიტინგების ასოციაციის“ უმაღლესი ჯილდო - „წლის ლიდერი“ სხვადასხვა კატეგორიის რეიტინგის მიხედვით, ესენია: მოგება/ზარალი, ბრუნვა, თანამშრომელთა ანაზღაურება, თანამშრომელთა რაოდენობა

1)

- 2) დაიწყო თბილისის ახალი სერვის ცენტრის მშენებლობა, რომლის ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წელს



- 3) ქვემო ქართლში, კერძოდ მარნეულის რ-ნი, სოფ. წერეთელში ექსპლუატაციაში გაეშვა ახალი სერვის ცენტრი



- 4) გრძელდება ინვესტიციების განხორციელება სათესლე ხორბლის წარმოების პროექტის განვითარებისთვის

კომპანიის წინაშე მდგარი ამოცანები:

1. კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება

- ✓ სპეციფიკის მიხედვით ოპტიმალური შეთავაზებების მომზადება და კომუნიკაცია;
- ✓ მომხმარებლებთან უკუკავშირი;
- ✓ არსებულ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარება;
- ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
- ✓ დილერების ქსელის გაფართოვება;
- ✓ დილერებთან ურთიერთობის განვითარება.

2. მომსახურების მაღალი ხარისხი

- ✓ კადრების შერჩევა და უწყვეტი სწავლება;
- ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი;
- ✓ მომსახურების სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა.

3. ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება

- ✓ პროდუქციის მარაგებზე მოთხოვნებისა და პროგნოზების განსაზღვრა (გაყიდვების პროგნოზირების მიხედვით);
- ✓ ლოჯისტიკის ეფექტური მუშაობა;
- ✓ შესყიდვების განხორციელება;
- ✓ საწყობებში და საწყობებს შორის მარაგების ეფექტიანი მართვა.

4. საცალო მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება

- ✓ ქსელის გაფართოვება;
- ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
- ✓ პირდაპირი კომუნიკაცია;
- ✓ უკუკავშირი მომხმარებლებთან;
- ✓ კლიენტების მონაცემთა ბაზების განვითარება.

5. ასორტიმენტის განვითარება

- ✓ ახალი პროდუქტების მოძიება და გაყიდვების პოტენციალის ანალიზი;
- ✓ ახალი პროდუქტების დანერგვა;
- ✓ არსებული პროდუქტების გაყიდვების ანალიზი და გამოუყენებელი პოტენციალის შეფასება;
- ✓ ფასწარმოქმნა;
- ✓ ახალი პროდუქტების რეგისტრაცია.

6. ქსელის განვითარება

- ✓ პოტენციური რეგიონების/რაიონების გამოყოფა და სპეციფიკის შესწავლა;
- ✓ არსებული მაღაზიების გაყიდვების ანალიზი რეგიონების/რაიონების მიხედვით;
- ✓ ბაზარზე გაყიდვების ანალიზი;
- ✓ რაიონებში მაღაზიისთვის ტერიტორიის შერჩევა;
- ✓ მაღაზიების დაგეგმარება და სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების წარმოება.

7. ფინანსური ეფექტიანობის უზრუნველყოფა

- ✓ ბიუჯეტირება;
- ✓ ფინანსური და ოპერაციული რისკების მართვა;
- ✓ ახალი პროდუქტებისა და პროექტების ფინანსური საინვესტიციო ანალიზი;
- ✓ სწორი ფასწარმოქმნა;
- ✓ გამართული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს ნობლექს არ გააჩნია ფილიალები. აქვს საბითუმო საწყობი, სათაო ოფისი, რომელიც განთავსებულია მისამართზე: თბილისი, კახეთის გზატკეცილი 155

ასევე აქვს მაღაზიათა ქსელი (სერვის ცენტრები) შემდეგ მისამართებზე:

- 1) თბილისი, კახეთის გზატკეცილი 153
- 2) გურჯაანი, თავისუფლების 66
- 3) გურჯაანი, სოფ. ახაშენი (ცენტ. გზატკეცილი)
- 4) ყვარელი, მეურნეობის დასახლება
- 5) ლაგოდეხი, აფენის ბაზრობასთან
- 6) ლაგოდეხი, სოფ. ცოდნისკარი (ბაზრობასთან)
- 7) თელავი, აღმაშენებლის გამზ. შესახვევი II
- 8) მარნეული, სოფ. წერეთელი

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანიის წინაშე არსებული მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, მითუმეტეს როდესაც მარაგების უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება გვინვეს უცხოურ ვალუტაში. გარდა ამისა კომპანიას ძირითადი სესხები აქვს ევროში. აქედან გამომდინარე, სავალუტო რისკიდან მიღებული ზარალის ალბათობა საკმაოდ მაღალია. არსებულმა კოვიდ პანდემიამ ამ მიმართულებით დიდი დარტყმა მიაყენა კომპანიას 2020 წელს. ეს აისახა არა მხოლოდ სავალუტო რყევის შედეგად მიღებულ ძალიან დიდ ზარალში, არამედ სავალუტო რყევები გავლენას ახდენს საქონლის თვითღირებულებაზე, რაც გაძვირების შემთხვევაში უარყოფითად აისახება საბოლოო მომხმარებელზე და შესაბამისად, რა თქმა უნდა კომპანიის რეალიზაციაზე.

აღნიშნული რისკის შესამცირებლად საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში კლიენტებთან ხელშეკრულება უმეტესად იდება ვალუტაში და შესაბამისად ანგარიშსწორება ხდება ვალუტის შესაბამისი ექვივალენტით ლარში.

ლიკვიდობა ნებისმიერი კომპანიისთვის რისკია. კომპანია მიღებული მოგების პრაქტიკულად სრული რეინვესტირებით ცდილობს მაქსიმალურად შეიმციროს ეს რისკი.

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად არსებობს საბაზრო რისკიც. აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

ასევე მნიშვნელოვანია დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

შპს ნობლექსს საკუთარი აქციები არ გააჩნია

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

შპს ნობლექსი თავის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ისე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს ფინანსური რისკები ამ მიმართულებითაც. აღნიშნული რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა არის შემდეგნაირი: სესხის საჭიროების შემთხვევაში განიხილავს იმ დროისთვის საფინანსო ბაზარზე არსებულ სიტუაციას და გადანაცვებებს იღებს საუკეთესო შეთავაზების სასარგებლოდ;

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მინიმიზაციისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს მენეჯმენტის გადანაცვებებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ასევე ვიყენებთ საფინანსო ინსტიტუტების მომსახურებას საქონლის განვადებით გაყიდვისთვის. ამით შეძლებისდაგვარად ვზღუდავთ დებიტორული დავალიანების ზრდას;

ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე, რისი უგულვებელყოფის შემთხვევაში იძულებული ვართ მივმართოთ კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება; 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა 3-6 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კანდიდატი კომპანიის შტატიანი თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს განერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან. გარდა ამისა თანამშრომლების მოტივაციისთვის მოქმედებს საბონუსე სისტემა და სხვა სამოტივაციო საშუალებები.

დადებითი გარემო ფაქტორები

აგროსფეროს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც დადებითად ისახება როგორც ამ სფეროში მოღვაწე ფერმერისთვის, ასევე მიმწოდებელი კომპანიებისთვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს: დანერგე მომავალი, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროდაზღვევა, აწარმოე საქართველოში და სხვა (პროექტების სრულად ნახვა შესაძლებელია მისამართზე <http://apma.ge>). კოვიდ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის მოქალაქეებისთვის და კერძო სექტორისთვის გავლენის შემსუბუქების მიზნით მთავრობის მიერ შემუშავებული იქნა ანტიკრიზისული გეგმა.



მათ შორის კომპანია აგროსფერო ჩართული იყო 1500 ლარამდე ხელფასის მქონე პირებისთვის საშემოსავლო გადასახადის შეღავათის პროგრამაში და ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. კომპანიის მხრიდან ფერმერებისთვის დამატებითი ხელშეწყობის მიზნით ჩვენს ასორტიმენტზე ვრცელდებოდა 5-15%-მდე ფასდათმობა

აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებებით, რომელიც დადებითად აისახება ამ სფეროში ბაზრის ზრდაზე.

COVID-19 -ის გავლენა

საქართველოსა და ზოგადად მსოფლიოსთვის COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ახალ გამოწვევად იქცა, რამაც რა თქმა უნდა გავლენა იქონია ბიზნესზეც. 2020 წელი საკმაოდ მძიმე და არაპროგნოზირებადი იყო: 2020 წლის დასაწყისშივე ვირუსი ისეთი მასშტაბით გავრცელდა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 12 მარტს ახალი კორონავირუსი COVID - 19 ოფიციალურად პანდემიად გამოაცხადა. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, ფრენის საერთაშორისო შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე. კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო შესაბამისი ზომები, რათა შეემცირებინა პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. გარკვეული განყოფილებები გადავიდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო კომპანიაში გაყიდვების და სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესი შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით მთავრობის 181-ე დადგენილების მიხედვით.

2020 წელს ქვეყანაში განვითარებული COVID-19-ის მიუხედავად კომპანიამ შეინარჩუნა თანამშრომლები და ასევე შეინარჩუნა ზრდის ტემპი.

2021 საანგარიშო წლისთვის კომპანიის და მისი მენეჯმენტის მოლოდინი მეტნაკლები სტაბილურობაა. კომპანია აღარ ელის ისეთ მკვეთრ ფინანსურ რყევებს რაც ახასიათებდა 2020 წელს, თუმცა ვერც განვითარების ის ტემპებია მოსალოდნელი რასაც კომპანია COVID-19-მდე პერიოდში გეგმავდა.

მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

დირექტორი

ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი

ნელი ხმელიძე